

ტაბიტი ბეჭედი, „ვერსიი“ ჟურნალი

ვერსიი

ფასი 50 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№45 (1071) 27 - 28 აპრილი, 2015 წელი

**როგორ ღაპივით
მოზარდები
თვითმკვლელობისგან**

მოსწავლეების ფსიქოლოგიურ
უსაფრთხოებაზე
მანდატურები ბრუნავენ **გვ. 6**

„კანონიერი ქურდები“ გივი თარგამაძეზე ფარული ჩანაწერის გამოქვეყნებას აპირებენ?!



**რა ჩაიფიქრა
შაქრო
კადაშოვმა**

გვ. 7

**რუსთავის №17 ბონის ყოფილმა „მაცურებელმა“
მოსკოვიდან სკანდალური ინფორმაციები ჩამოიგანა**



გვ. 3

**ექსკლუზიური ინტერვიუ პარტია
„ქართული ოცნების“ აღმასრულებელ
მდივან ირაკლი კობახიძესთან**

**„არჩევნები კონსტიტუციით
გათვადისწინებულ დროს ჩაყარდება!“**

**„ჩემი მინისტრობა ძალიან
სასასილო პერიანობია!“**



როგორ მზადდება
გადაცემა
„20/30“

გვ. 4-5

**შეაგზავნეს თუ არა ნაციონალურმა
და რამდენს უხდის გადაცემის
წყევანაში არჩილ გამბარდის**

**შაჰნიჭის პროექტის მეორე
ეტაპით საქართველოში 2 მილიარდის
ინვესტიცია განხორციელდება **გვ. 8****

მარია ვადიშვილი: „საქართველოს
საფრანგო რილის უფრო აქტიურად
გამოყენების შესაძლებლობა მიეცემა!“

**ღააჰაღაღაღა, რომლებსაც
ჭუჭუტან ბრძოლის
საშუაღაღაღა იწვევს **გვ. 7****





ის, რას გვჭირს...

ქალაქიან სიყვარული

სიყვარული... მართლაც, რა უცნაური რამაა სიყვარული, რომელიც სწორედ მაშინ გენვევა, როცა ყველაზე ნაკლებად მოელო და სწორედ მაშინ გახსენებს თავს, როცა ყველაზე ნაკლებად გჭირდება. ფულის სიყვარული — ეს სიყვარულის ის განსაკუთრებაა, რომელიც არავინ იცის, როდის იჩენს ადამიანში თავს. ძველი ბერძნები კი ამბობდნენ, ფულის სიყვარული ადამიანის თანმდევი ტანჯვააო, მაგრამ განა, მხოლოდ ტანჯვაა? თუ არ გვერათ, კორუფციაში ბრალდებულ ქართველ მსაჯებსა და საფეხბურთო ფუნქციონერებს ჰკითხეთ ეს ამბავი და ისინი უკეთ აგიხსნიან, რატომ არაა მხოლოდ ტანჯვა ფულისადმი უზომო ტრფობა.

სახლში ხარ და გვერდით ოთახში ჩართული ტელევიზორიდან გესმის, წესით, ერთობ შემამოფოთებელი სიტყვები: „შს-ს ანტიკორუფციულმა სააგენტომ, კომერციული მოსყიდვის ფაქტზე, რამდენიმე პირი დააკავა“. უსმენ ამას და საკუთარი თავის გიკვირს. ადრე, მსგავსი ამბების გაგონების შემდეგ, ბრაზდებოდი, იგინებოდი, ითხოვდი დამნაშავეების დასჯას, ხალხს მოუწოდებდი, ერთად გებრძოლათ მანკიერებების აღმოსაფხვრელად. ახლა კი, ტელევიზორიდან გესმის ყველაფერი ეს და კომპიუტერის ჩართვაზე გეზარება, რომ გადაამონმო, ვინ დაიჭირეს და რისთვის.

რატომ გეზარება? — იმიტომ, რომ დაილაღე, დაბეჩავდი, ყელში გაქვს ამოსული მსგავსი საძაგლობა და რაც ყველაზე დიდი საშინელებაა, თითქოს უკვე შეეგუე კიდეც არსებულ რეალობას.

„რა გიკვირს, კაცო? ამ ქვეყანაში ათასი საზიზღრობა რომ ტრიალებდა ახლა გაიგე?“ — მითხრა რამდენიმე წლის წინ ერთმა ძალიან კარგმა კაცმა მას შემდეგ, რაც ჩემი აღშფოთებული პასაჟი მოისმინა. მაშინ, მახსოვს, ძალიან გავბრაზდი და იმ კარგ კაცს ისიც კი ვუთხარი, ამ დღეში რომ ვართ, შენი და შენნაირი ხალხის ბრალია-მეთქი. ახლა კი ვიგონებ ამ ამბავს და მრცხვენია. მრცხვენია იმიტომ, რომ ის კაცი მართალი იყო. მას უკვე აღარ უკვირდა. მიეჩვია. მე კი „სავლეს პავლედ ქცევის“ გულუბრყვილოდ მჯეროდა.

ჯოკიებისა და ძმათა მათა ამბები, ვთქვათ, ყველაფერი ძირსიძირობამდე იქნა გამოძიებული და დასასჯელიც მკაცრად დაისაჯა, ვინმეს სჯერა, რომ ადამიანებს, რომელთა მენტალობაც კორუფციას დანაშაულად არ აღიქვამს, მკაცრი და მასობრივი ღონისძიებების გატარების გარდა, რამე შეაჩერებს?! აბა, გავისხენოთ ჩვენს გარშემო მყოფი კორუმპირებული მოხელეები თუ ბიზნესმენები, პოლიტიკოსები თუ „ცნობადი სახეები“... განა, არ ვეგუებით მათ? განა, არ ვსხდებით მათთან ერთად სუფრასთან და არ ვიძახით სამშობლოს სადღეგრძელოს? ეს ადამიანები ვითომ, რით არიან კორუმპირებულ მოხელეებზე უკეთესნი? მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ ისინი „ჩვენები“ არიან და მათი დანაშაული დიდ პრობლემად არ გვესახება.

მთავარი უბედურებაც ესაა. ჩვენ კორუფცია მაშინ არ მოგვწონს და მაშინ ვებრძვით, როცა უშუალოდ ჩვენიათ არაა შიგნით გარეული. ჩვენ ჩვენი „ნათესაურ-უბნურ-ძმაცაცურ-ქალაქური“ სამართალი გვაქვს და ასე ვჭრით და ვკერავთ. გვეონია, რომ სწორედ ესაა ქართველობა.

აი, ამიტომაც აღარ მიკვირს ამ ქვეყანაში რაც ახლა ხდება. ჩვენ, საკუთარ ქვეყანას განაჩენი თავად გამოვუტანეთ და გვეონია, რომ ბავშვებისთვის განკუთვნილ სკვერებსა და პარკებში ახალ-ახალი ეკლესიების შენებით გამოვისყიდით ცოდვებს. ნურას უკაცრავად!

ნოდარ ხადური: „ლარის კურსის ცვლილება დროებითი მოვლენაა“


ფინანსთა მინისტრი დარწმუნებულია, რომ „ლარის კურსის ცვლილებაზე ზეგავლენას ბიუჯეტი არანაირად ახდენს“.

„ჩვენ ვმუშაობთ ეროვნულ ბანკთან ერთად. იმედია, ეს პროცესი შედეგს აუცილებლად გამოიღებს. მინდა ვთქვა, რომ ლარის კურსის ცვლილება დროებითი მოვლენაა“, — აცხადებს საქართველოს მთავარი ხაზინადარი ნოდარ ხადური.



„tb24.ge“

ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავეს




შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1972 წელს დაბადებული ომარ ბ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით, მარნეულის რაიონის სოფელ კირაჩმულანლოში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას 4 აბი ტრამადოლი და 11 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად 0,3689 გრ ჰეროინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებისას ომარ ბ. ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

პოლიცია თაღლითური დაჯგუფება გამოავლინა

შს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს და შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა, თბილისსა და მცხეთაში ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თაღლითური დაჯგუფების ოთხი წევრი: 1973 წელს დაბადებული, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე მიხაილ მ, 1979 წელს დაბადებული აგიტა მ, 1984 წელს დაბადებული ვლადიმირ ს. და 1973 წელს დაბადებული ალან ლ. დააკავეს.



გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები წინასწარ შემუშავებული თაღლითური გეგმის მიხედვით, რუსეთის ფედერაციაში ქირობდნენ სხვადასხვა მარკისა და მოდელის ძვირადღირებულ ავტომანქანებს, ამზადებდნენ ავტომანქანის ყალბ ტექპასპორტებსა და სხვა დოკუმენტებს, ჩამოჰყავდათ საქართველოში და ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ახდენდნენ განბაჟებას. თაღლითური დაჯგუფების წევრები უკვე განბაჟებულ ავტომანქანებს თბილისში, სხვადასხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას და ბანკებში ალომბარდებდნენ. დადგინდა, რომ ბრალდებულების თაღლითური საქმიანობით რამდენიმე საფინანსო ორგანიზაციას მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი მიადგა.

სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას ყალბი დოკუმენტაცია და სალომ-ბარედ ხელშეკრულებები ნივთმტკიცებად ამოიღეს. ასევე ამოღებულია თაღლითურად დაუფლებული სამი ავტომანქანა. ოთხივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თაღლითობის და ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

ილია მეორე: „აშშ საქართველოს მშობარია!“



სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსთან, სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტ ტიხონთან ერთად იქადაგა, ამასთან, აშშ და ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესია დალოცა და აღნიშნა, რომ საქართველო დიდად აფასებს ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრობას.

თავის მხრივ, ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსმა, სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტმა ტიხონმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიულ როლსა და მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

„მადლიერი ვარ თქვენი და თქვენი ეკლესიის, თბილი მიღების და სტუმართმოყვარეობის გამო. მადლიერი ვარ იმ მზრუნველობისთვის, რომელსაც ჩვენი ეკლესიის მიმართ ყოველთვის იჩენდით. მადლიერი ვარ იმ თბილი მოგონებებისთვის, რომელიც საქართველოს ქრისტიანი მორწმუნეები, ქრისტეს ემსახურებოდნენ მაშინ, როცა ამქვეყნიური იმედი ამოწურული იყო.“

უკავშირდება თქვენს ვიზიტს აშშ-ში 1998 წელს, როცა წმინდა ტიხონის მონასტერში იმყოფებოდით, პენსილვანიაში, სადაც მე, როგორც ბერი, 18 წლის განმავლობაში ვცხოვრობდი. მადლიერი ვართ სიმდაბლით სავსე და შთაგონებული საქართველოს წმინდა ეკლესიის მონამეობრივი გზის 2000 წლის განმავლობაში. მასშტაბი ამ მონამეობისა განსაცვიფრებელია. დრო კვლავ და კვლავ, ჩვენ დროშიც კი გამოცდას უქვემდებარებდა ქართველი ხალხის რწმენას ქრისტეში — რწმენას ქრისტეს ჯვრისა და მისი აღდგომისა. ნუხელ სასულიერო პირებთან ერთად მეტეხის ხიდის გასწვრივ ვსეირნობდი, სადაც 100 ათასი ქართველი მერ-13 საუკუნეში ენამა, რადგან უარი თქვეს საკუთარი რწმენის უარყოფაზე. საქართველოს ქრისტიანი მორწმუნეები, ქრისტეს ემსახურებოდნენ მაშინ, როცა ამქვეყნიური იმედი ამოწურული იყო. ქართველ ხალხს ხოცავდნენ, ქართულ ეკლესიებს ანადგურებდნენ, მაგრამ რწმენა ნარჩუნდებოდა, როგორც კლდე“, — ბრძანა ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსმა და სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტმა.

მისივე თქმით, აშშ-ს მართლმადიდებელი ეკლესია ახალგაზრდაა, რომელიც ასახავს ეთნიკურ მრავალფეროვნებას. მიტროპოლიტ ტიხონის განცხადებით, ამერიკის მართლმადიდებლურ ეკლესიაში ღმერთს თაყვანს ეთნიკურად განსხვავებული ხალხი სცემს.

„ძალიან ბევრი მორწმუნე აშშ-ში მართლმადიდებელ ქრისტიანობაზე ახლად მოქცეულია, რომელთაც მართლმადიდებლობასთან კავშირი არ ჰქონიათ. მათ, ჩემ მსგავსად, აღმოაჩინეს სიცოცხლე ქრისტეში, რაც საქართველოს ეკლესიამ საუკუნეების განმავლობაში იცოდა, იცავდა და თაობიდან თაობას გადასცა“, — ბრძანა მიტროპოლიტმა ტიხონმა.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ამერიკელ სტუმარს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ივერიის ხატი გადასცა, ხოლო ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსმა ილია მეორეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პანაღია, ხელნაწერი წმინდა სახარება და წმინდა მოციქულ მთავარანგელოზის ეკლესიის ხატი აჩუქა.

„ინტერპრესნიუსი“

ჯონ კერი: „რუსეთის სანქციაში კალაში დარჩება“

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თქმით, რუსეთი კვლავ არ ასრულებს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობებს. ჯონ კერი ამ ასევე აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში შექმნილი ვითარების შესახებ ცოტა ხნის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს ტელეფონით კიდევ ერთხელ ესაუბრა.

აშშ და ევროკავშირის ქვეყნები მოსკოვს პრორუსი მებრძოლების მხარდაჭერაში ადანაშაულებენ, რასაც მოსკოვი ამ დრომდე კატეგორიულად უარყოფს.

„ინტერპრესნიუსი“





ირაკლი კობახიძე: „არჩევნები კონსტიტუციით გათვალისწინებულ დროს ჩატარდება!“

პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე, ზაფხულამდე კი ინტერპარტიულ ჯგუფთან შეხვედრას აანონსებს; ამასთან, ექსპერტთა იმ კატეგორიაში, სადა პარტიები, ვინც „მამალი ძროხის“ შექმნითა დაკავებული, პრეზიდენტს კი სახელმწიფოებრივი ნაბიჯის გადადგმისკენ მოუწოდებს.

ენიშო კობახიძე
599-95-33-16

პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე, ვერსიასთან ექსკლუზიურ ინტერვიუში ყველა აქტუალურ თემას ეხება და ივლისის შუა რიცხვებისთვის „ოცნების“ სტრუქტურების სრულად ამოქმედებას, ზაფხულამდე კი ინტერპარტიულ ჯგუფთან შეხვედრას აანონსებს; ამასთან, ექსპერტთა იმ კატეგორიაში, სადა პარტიები, ვინც „მამალი ძროხის“ შექმნითა დაკავებული, პრეზიდენტს კი სახელმწიფოებრივი ნაბიჯის გადადგმისკენ მოუწოდებს.

— კონსტიტუციაში არ წერია, რომ პრეზიდენტს არჩევანის უფლება აქვს, სად იცხოვროს — ამ ფრაზის ავტორი თქვენ ხართ. რატომ დავობთ ამ თემაზე და, საერთოდ, საზოგადოებისთვის რა მნიშვნელობა აქვს, სად იჯდება პრეზიდენტი?

— პრეზიდენტის სტატუსი და უფლებამოსილებები 2013 წლამდე განსხვავებულად იყო მოწესრიგებული, 2013 წლის შემდეგ კი ვითარება თვისობრივად შეიცვალა, თუმცა ხალხს დღემდე არ აქვს ზუსტი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა სახით და რა მასშტაბით შეიცვალა პრეზიდენტის უფლებამოსილებები. ეს იმ მიზანმიმართული კამპანიის შედეგია, რომელსაც ჩვენი ოპონენტები მოსახლეობის შეცდომაში შესაყვანად აწარმოებენ. შეიქმნა დამახინჯებული სურათი, სადაც პრეზიდენტი მმართველი ძალისგან ჩაგრულ სუბიექტად გამოყვანილი. ეს ხალხის განწყობაზე თამაშია, რადგან ადამიანი, ბუნებრივად, ჩაგრულის მხარეს გადადის. სინამდვილეში, ვერაფერს დამისახელებს შემთხვევას, როცა პრეზიდენტს საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების საშუალება რაიმე ფორმით შეეზღუდა. ამ კამპანიის მიზანი „ოცნების“ იმიჯზე ნეგატიური გავლენა და პრეზიდენტის რეიტინგის ხელოვნურად ზრდაა, რაც სხვა ეჭვებსაც აჩენს.

— ამ ეჭვებში თქვენც პრეზიდენტის, ნაციონალების, თავისუფალი დემოკრატებისა და რესპუბლიკელების ე.წ. ბანაკს გულისხმობთ?

— ეს ვერსია ზედმეტად შორს მიდის... ნაციონალურ მოძრაობას იმის რესურსი არ აქვს, რაიმე მასშტაბური და კონსოლიდირებული პოლიტიკური ძალა ჩამოაყალიბოს, რომელიც კონკურენციას გაავსენებს.

— გვახსოვს დავები, ვინ ნავა ეკონომიკურ ფორუმზე, ვინ მოაწერს ხელს ასოცირების ხელშეკრულებას და ასე შემდეგ... ანუ პრეზიდენტებს არ იცის, რა უფლებები აქვს თუ მისი განცხადებებიც ამ კამპანიის ნაწილია?

— მაქვს საფუძველი, ვივარაუდო, რომ პრეზიდენტს ჰყავს გუნდი ადმინისტრაციაში, რომელიც არასწორი მიმართულებით წარმართავს მოვლენებს. ეს შეგნებულად კეთდება თუ კვალიფიკაციის ნაკლებობის გამო, სხვა საკითხია. არ გამოვრიცხავ, პრეზიდენტიც არაა სათანადოდ ინფორმირებული იმ ახალი რეალობის შესახებ, რომელიც კონსტიტუციის ამოქმედებით რედაქციით შეიქმნა. ძალიან უხეშად თუ დავთვლით, პრეზიდენტს ძველი უფლებამოსილებები, დაახლოებით, 95%-ით შეეზღუდა. ხშირად მანიპულირება იმით ხდება, რომ პრეზიდენტის კომპეტენციების ჩამონათვალი კონსტიტუციის ტექსტში დიდად არ შემოკლებულა, თუმცა შეიცვალა მთავარი ჩანაწერი, რომლის მიხედვით პრეზიდენტი აღარ წარმოართავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ამით საპრეზიდენტოდან საპარლამენტო მმართველობაზე გადავიდით. ისიც მიზანმიმართული კამპანიის შედეგია, რომ ნებისმიერ სადავო, სამსჯელო საკითხზე ყოველთვის ჩნდება ე.წ. ექსპერტი, რომელიც სრულიად საპირისპირო განცხადებას გააკეთებს. ყველამ ვიცით, ძროხა მხოლოდ დედალი შეიძლება იყოს და სხვა ალტერნატივა არ არსებობს, მაგრამ გამოჩნდება ექსპერტი, რომელიც იტყვის, რომ ძროხა მამალია. ასე იყო ასოცირების ხელშეკრულების საკითხის განხილვის დროსაც — არსებობდა ერთი სიმართლე, მაგრამ გამოვიდნენ ექსპერტები, რომლებმაც თქვეს, რომ „ძროხა მამალია“ ანუ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა პრეზიდენტის უპირატესი კომპეტენციაა. ყველაფერ ამის ერთ-ერთი მიზეზი ხარისხის კონტროლის სისტემის არარსებობაა. მედია ხშირად ისე არქმევს ადამიანებს ექსპერტებს, რომ მათ ბიოგრაფიასაც კი არ იცნობს. ხშირად კონსტიტუციას, ექსპერტის რანგში, ისეთი ადამიანი განმარტავს, ვისაც აკადემიური ხარისხიც არ აქვს. სამწუხაროდ, საზოგადოებაში ხარისხის კონტროლის სისტემა არ არსებობს.

— კვალიფიკაციის ნაკლებობა ხელისუფლებაშიც დიდი დოზითაა... პრემიერს ამბობს, რომ პრეზიდენტს ძალით არ გადაიყვანს... პრეზიდენტი კი ავლაბრიდან ათონელზე გადასვლას არ გეგმავს. სადაა გამოსავალი?

— საკითხი აქტუალობას იქამდე ვერ დაკარგავს, ვიდრე

პრეზიდენტის რეზიდენცია კონსტიტუციური მოდელის შესაბამისი არ იქნება. დღევანდელი რეზიდენცია ევროპული ტიპის დემოკრატიული ქვეყნის პრეზიდენტისთვის ზედმეტად გრანდიოზულია.

— იგივე წარმატებით შეგვიძლია ვისაუბროთ ბიძინა ივანიშვილის შუშის სასახლის გრანდიოზულობაზეც.

— ადამიანის კერძო საკუთრება სხვა თემაა. პრეზიდენტისთვის გრანდიოზული სასახლის არსებობა დიქტატორული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ტენდენციაა. ასეთი რეზიდენციის მიზანია, პრეზიდენტმა სხვა ინსტიტუტებს თავისი უპირატესობა აჩვენოს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რეზიდენცია კონსტიტუციურ მოდელს შეესაბამებოდეს. გიორგი მარგველაშვილი სააკაშვილის რეზიდენციაში მარტივად, ერთ დღეში გადავიდა და ასევე მარტივად შეუძლია, გადავიდეს ათონელის რეზიდენციაშიც. ამ საკითხზე პრემიერ-მინისტრმა სახელმწიფოებრივი მიდგომა გამოავლინა, როცა ცალსახად თქვა, რომ არავითარი იძულება არ იქნება. ახლა ჯერ პრეზიდენტსა და მის ადმინისტრაციას ვხედავთ, ზოგადად კი, უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტის დისკრედიტაციას რეზიდენციის ზომა კი არა, კონსტიტუციასთან შეუსაბამობა გამოიწვევს.

— ახლა „ოცნებაში“ არსებულ ვითარებაზე ვისაუბროთ — როგორ დასრულდა ბოლო ორი სკანდალი ზვიად ჯანყარაშვილისა და არმან ახვლედიანთან და ამ ორ ადამიანს დღეს პარტიასთან რა აკავშირებს?

— არმან ახვლედიანი პარტიის წევრია. პარტია ერთი დიდი ოჯახია, წევრთა შორის გუნდური დამოკიდებულება გვაქვს და ამ საკითხსაც გუნდურად გადავწყვეტთ, შედეგი კი შიდასაუბრებსა და თავად ახვლედიანის პოზიციაზე დამოკიდებულია. რაც შეეხება ზვიად ჯანყარაშვილს, დღეს იგი პარტიულ საქმიანობასთან დაკავშირებული არაა.

— „ოცნების“ რაიონული ორგანიზაციები სუსტია. ადგილობრივი ოფისების გაძლიერების რა სტრატეგია გაქვთ?

— რაიონული ორგანიზაციების სისუსტეს თავისი ობიექტური ახსნა აქვს — სამი არჩევნები მიყოლებით გამოვიარეთ და პარტიას ორგანიზაციული გაძლიერების დრო არც ჰქონდა. მომავალ არჩევნებამდე წელიწადნახევარია და საკმაოდ დრო გვაქვს. თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, პარტია, როგორც ორგანიზაცია, არსებითად უფუნქციო იყო. ეს ეხება როგორც ცენტრალურ, ისე რაიონულ ოფისებს. მდგომარეობა თითქმის ყველგან იდენტურია, თუმცა გვაქვს დასახული კონკრეტული გეგმა, რომლის საფუძველზე ზაფხულიდან ყველა პარტიული ორგანიზაცია სრული მასშტაბით ამოქმედდება. ყველა რაიონში შეიკვრება ბირთვი, რომელიც პარტიის ყოველდღიურ საქმიანობას გაუძღვება. ამჟამად, ყველაზე აქტიურად სწორედ პარტიის რეორგანიზაციაზე ვმუშაობთ. პასიურობის მიუხედავად, ყველა რაიონში წამყვანი პოლიტიკური ძალა ვართ და სხვა პარტიებთან შედარებით, დიდი უპირატესობით ვსარგებლობთ.

პარსიანიუსი

ირაკლი ლარიბაშვილი: „ივარიის ღვთისმშობლის ხატის ტაძარი არის გათვალისწინებული სიმბოლო განვითარების სიბოლო განვითარება!“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძრის გუმბათის კონსტრუქციის ბეტონის ბოლო ჩასხმას დაესწრო. როგორც პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ეს ტაძარი გახდება სიმბოლო ქვეყნის გაერთიანებისა.

„ეს არის საოცარი დღე, დიდებული საქმეა, ვინაიდან ამ ტაძარს აშენებს მთელი ერი. რა თქმა უნდა, არის ჩვენი პატრიარქის ინიციატივა, მისი ლოცვა-კურთხევით, მართლაც საოცრად, სასწაულებრივად შენდება ეს ტაძარი. მინდა, ბატონი პაატა ბურჭულაძის სიტყვები გავიმეორო — „თავისით შენდება ეს მართლაც დიდებული ტაძარი“.

— აღნიშნა ლარიბაშვილმა.

პრემიერმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა პაატა ბურჭულაძეს, რომელიც, მისი თქმით, ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორია ამ ტაძრის მშენებლობისა.

„დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ პაატას მთელი მთავრობის სახელით. დარწმუნებული ვარ, ერი დაუფასებს ამ დიდ საქმეს. დიდი მადლობა ჩვენს უწინდესსა და თითოეულ ადამიანს, რომელმაც წვლილი შეიტანა ამ საქმეში“, — განაცხადა პრემიერმა. გუმბათის კონსტრუქციაში ბეტონის ბოლო ჩასხმით დასრულდა მახათას მთაზე მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის კონსტრუქციის აგება. ტაძრის საძირკველი 2011 წელს იკურთხა. 2012 წელს საძირკველი გაიჭრა და მშენებლობა დაიწყო. 2013 წელს საძირკველი დასრულდა და მშენებლობის მეორე ეტაპი, კედლების ამოყვანის პროცესი გაგრძელდა. 2015 წლის 26 აპრილს კი ტაძრის აგება და გუმბათის მშენებლობა დასრულდა. პარალელურად, მიმდინარეობს გარემოსაპირკეთებელი სამუშაოები და ტაძრის კარიბჭის მშენებლობა. ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ქარსაცავი ზოლი და ზეთისხილის ბაღი გაშენდა. მშენებლობა 2700 კვ.მ-ზე მიმდინარეობს, ტაძრის სიმაღლე ჯვრის ძირამდე 51 მ იქნება, ჯვრის სიმაღლე კი — 6 მეტრი. ტაძრის არქიტექტორი ომარ ნაფეტვარიძეა. მშენებლობაზე 300-მდე ადამიანი დასაქმდა. მშენებლობას, პატრიარქის კურთხევით, პაატა ბურჭულაძე ხელმძღვანელობს. ტაძარს სრულიად საქართველო და უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები ერთიანი ძალისხმევითა და თანაბარი მონაწილეობით აშენებენ. პრემიერი მახათას მთაზე შეილებთან ერთად მივიდა. ირაკლი ლარიბაშვილმა ზეთისხილის ბაღში სიმბოლურად ზეთისხილის ხე დარგო.



დასასრული მე-5 გვერდზე

„ინტერპრესნიუსი“


გელა ქოძიაშვილი

... უკვე მეორე დღეა, რაც აკურის „მამადა- ვითს“ და მის წარწერებს ვუტრიალებ. ვხვდები, რომ ისინი ჭერების ქვეყნის მმართველი ოჯახისა და უშუალოდ, ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ უცნობი ფურცლის საიდუმლო გასაღებია. ყველაზე დიდ ინტერესს აღ- მოსაველთ ფასადის ნაკვეთი წარწერა (№1) იწვევს, რომელიც ისეა ჩამოჭრილი სარკმლის ქვეშ, რომ ბუნებრივია, ტაძრის თანადროუ- ლია: „განუსვენე უფალო, სულსა გიორგის ძეთასა“.

იბადება კითხვა: ტაძარი თუ ილარიონის მიერ აგებული დედათა მონასტერია, მისი სახელი რატომ არსად ჩანს? იმიტომ, რომ უსათნოესი ილარიონის საკუთარი ღვანჯლის გამომწერებას ერ- იდებოდა? კი, ბატონო, მაგრამ ასეთ შემთხვევაში განა გაუგონარი თავხედობა არ იქნებოდა, რომ ტაძრის აგებისას ვილაყვას გაეზებდა და სხვათა შვილები დაეტირებინა ილარიონის მიერ აგებული ტაძრის კედელზე? შეპკადრებდა ვინმე ამას მის უსათნოესობას? ამიტომ, მყოფის გამბედაობა და ვამბობ, რომ „მამა- დავითი“ ილარიონის ამეწებული არ უნდა იყოს. იგი უფრო მამამისის მიერ აგებული ის მონასტერია, რომელიც ყმანვილი ილარიონისა და 16 მორჩი- ლისთვის იყო განკუთვნილი.

როგორც „ცხოვრების“ ყველა რე- დაქცია გვეუბნება, ილარიონი 15 თუ 16 წლის ასაკში მამის მზრუნველობას განერიდა და, უფალს დამორჩილე- ბული, ჯერ გარეჯის უდაბნოში წავიდა, შემდეგ კი იქიდან — იერუსალიმში. 17 წლის შემდეგ მშობლიურ მხარეში დაბრუნებულ ილარიონს მამა და ძმები (ზოგიერთი რედაქციის მიხედვით, მამა და ძმა) გარდაცვლილები დახვდა. რა ხდებოდა ამ 17 წლის განმავლობაში ილარიონის მშობლიურ მხარეში? კახ- ეთის მთავრის უჯარმულ ტახტზე დინასტიური ცვლილება: თავდა- პირველად, გრიგოლ ქორიკოზს ივანე ქვაბულისძის ვაჟი — დაჩი ცვლის, მერე კი სათავეში გარდაბნული დონ- აურები მოდიან. 840-842 წლებში კახეთი ანტიარაბულ კოალიციაშია და გავაზთან ბრძოლაში აზნ- აზიდის ლაშქარს ამარცხებს. შესაძლოა, სწორედ ამ ბრძოლაში ან სულაც შიდადაპირისპირებაში ილუპებინა ილარიონის ძმები. მამამისი მათ საკუთარი ხელით აგებულ იმ მონას- ტერში კრძალავს, რომელთანაც მა- მაშვილური სიყვარული აკავშირებს და ილარიონსაც ახსენებს. მალე თვით მამაც აღესრულება.

თუ ამ ვერსიას დავეყრდნობით, ყველაფერი ნათელია და ჩვენ ილ- არიონის მამის სახელიც ვიცით — გიორგი (მის რევიანობაზე წინა წერილებში: „ორგუმბათიან შედევრში“ და „ვაზისუბნის გამოცანებში“ ვწ- ერდი). პასუხგაუცემელი რჩება ორი შეკითხვა: პირველი — თუ არა ეს, მაშ რომელია ილარიონის დედის მონასტერი? მეორე — ვინაა აკურის ტაძრის დასავლეთ ფრონტონის წარწერებში ნახსენებ „ტბლ“ და „დვლთ“, რომლებიც წინა



ქვათა მაციაზე საიდუმლოს გასაღები ჩერების ქვეყანა



წერილში გაგაცანით. მეორე კითხვას იქნებ ახლავე ვუპასუხოთ. თუ დასავლეთ ფრონტონის წარწერები მართლა IX საუკუნისაა, „ტბლ“-ის ქართლის დიდ ერისთავად (ტბელად) მიჩნევა შეუძლებელია, მაგრამ, თუ ეს წარწერა X-XI საუკუნეებისაა, მაშინ ამ პარალე- ლის გავლება ძნელი არაა: ტბელმა ერისთავმა, რომელმაც ბაგრატ III-სთან დაპირისპირებაში ვე- რაფერი გაანყო, შეიძლება, კახეთს შეაფარა თავი და მის მთავართან (შემდგომში კახთა და რანთა მეფესთან) კვირიკე III-სთან დადო ერთგულების ფიცი. როგორც მე-2 წარწერიდან ჩანს, მას დიდი „მოსწრაფებით“ აღუშენებია ანუ გადაუკეთებია „მამადავითი“. „დვლთ“-ის გამოფერა ძალიან ჭირს. პირველ შეკითხვაზე (თუ არა აკურის „მამა დავითი“, მაშ რომელია ილარიონის მიერ დედის- თვის აგებული მონასტერი?) პასუხის გასაცემად

აკურის „მამადავითის“ მთავარი წარწერა და აღმ. ფასადი



კალაურის „ნათლისმცემელი“: ეკლესია, აკლდამა და სატრაპეზოს კარიბჭის ფრაგმენტი

მკითხველი კალაურის ტყეში სამოგზაუროდ უნდა გავიყოლო. კალაურის შესასვლელში ბადრი ბასოშვილი — ადგილობრივი მეტყვევ გველოდება, „ნათლისმცე- მელში“ უნდა ავიყვიანოს. ჩვენს სახელოვან მკვლევარს, გიორგი ჩუბინაშ- ვილს, სამწუხაროდ, კალაურის „ნათლისმცემელი“ ნანახი არ ჰქონდა. 2007 წელს თამაზ დვალმა იგი მას შემდეგ შეისწავლა, რაც არქეოლოგებთან — გიგა რჩელიშვილთან და გიორგი ლალიაშვილთან ერთად განმინდა. ამ საქმეში ლამის მთელი კა- ლაური მონაწილეობდა, ხარჯები კი საფრან- გეთში ქართული სათვისტომოს მეთაურმა, ოთარ ზურაბიშვილმა გაიღო. 2009 წელს „ნათლისმცემ- ლის“ საკურთხეველის წინ, აღსავლის კართან, უძველესი იატაკის ქვეშ აღმოჩნდა ჩონჩხი, რო- მელიც, ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგად (მკვლევარი ლია ბთაძე), 45 წლის ქალს ეკუთვნის. მისი სამარხი (ცარიელი იყო. სულ მალე გარშემო- სავლელის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში კიდევ ერთი ქალის ჩონჩხი აღმოჩნდა, რომელსაც მინის სამაჯური ეკეთა. ამკარა იყო, რომ მკვლევარები უძველეს დედათა მონასტერში იდგნენ.

ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსი ტყეში, კალაურისხევის მარჯვენა ნაპირზე, დაახ- ლოებით 150 მეტრში, მოზრდილ ვაკისზე დგას. სოფლიდან ამ კომპლექსამდე, დაახლოებით, 4-5 კილომეტრია და მისგან სამხრეთ-დასავლეთითაა. კომპლექსში შედის დიდი, სამეკლესიანი საყდარი (19,7X13,9 მ.), ასევე დიდი სატრაპეზო (24X11,5 მ.), მარნის, კარიბჭისა და გალავნის ფრაგმენტები. ეკლესიიდან აღმოსავლეთით 40- ოდ ნაბიჯში, ხის ქვეშ ჩანს მცირე აკლდამა (3,2X2,8 მ.). მართალია, ტაძარი და სატრაპეზო უკეთაა შემონახული, მაგრამ სახურავი არც მათ აქვთ. ეს კი არა, „ნათლისმცემლის“ სამხრეთის სამთლიანი კარიბჭე, მიმდებარე კედელი, სრულიად მორ- ღვეულია. ნასაქცევად იყო გადაქცევილი დასავ- ლეთის გარშემოსავლელის კედელიც, მაგრამ იგი, როგორც იქნა, ჯალამბრებით გაასწორეს და გაამაგრეს.

დადგინდა, რომ ტაძრის კედლის ქვედა მონ- აკვეთი, საკურთხეველის ხარისხის დონემდე, ად- რულ ეპოქაში, დაახლოებით VI-VII საუკუნეებშია აგებული, ზევით კი IX საუკუნის ქვათა ნყოფაა. უნდა ითქვას, რომ ჭერების ქვეყანაში ასეთი ხუ- როთომოდღერი შენობა ძალიან ბევრია. ეს იმაზე მიგვიანიშნებს, რომ IX საუკუნეში აქ არამარტო სრულიად ახალ ტაძრებს აშენებენ, არამედ შემორჩენილ საძირკვლებსაც იყენებენ და ძველ წმინდა ადგილებს ახალ სიცოცხლეს აძლევენ. ყველაფერთან ერთად, ეს ტრადიციის პატივისცემაა.

„ნათლისმცემლის“ სატრაპეზო ტაძრიდან დასავლეთით, ოციოდ მეტრშია. მის სამხრეთ- აღმოსავლეთ კუთხეში გაჭრილი უმშვენიერესი და ორიგინალური კარიბჭე არასოდეს დაგავი- ნცდებათ. მართალია, ნაგებობა IX საუკუნისაა, მაგრამ მისი კარიბჭისთვის, VI-VII საუკუნეების მიზაძ- ვით, დეკორად კბილანა არქივოლტი შემოუყ- ლიათ. იმედი, მკითხველი ხელოვნურ, გამიზნულ მინიშნებად არ მიიღებს, თუ ვიტყვით, რომ ასეთი დეკორული არშია-მარმაში სწორედაც რომ შეეფერება დედათა მონასტერს... ხელაღ- ებით მტკიცება არ შეიძლება, მაგრამ თითქმის

დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ კალაურის „ნათლისმცემელი“ ილარიონ ქართველის მიერ დედისთვის (და დისთვის) აგებული მონ- ასტერი და არა აკურის „მამადავითი“. საყდრის საკურთხეველთან დაკრძალული ქალის ჩონჩხი, რომელიც მაქსიმუმ 45 წლისაა, ილარიონის და უფრო გამოდის. ამდენად, საინტერესოა არამ- არტო მეორე ქალის ჩონჩხის შემდგომი ანთრო- პოლოგიური შესწავლა, არამედ საერთოდ, „ნათლისმცემლის“ ტერიტორიის დეტალური არქეოლოგიური გამოკვლევა.

... მაგრამ ილარიონს მარტოოდენ დედათა მონასტერი არ აუგია. „და კულად აღაშენა სხ- უაი მონასტერი მამათათვის და შეკრიბა მას შინა ძმანი ვითარ სამოცდა ათეულსმეტნი... და განუნესა მათცა წესი და კანონი, სიმსხისა მათისა შემსგავსებული და აღუშენა ეკლესია და შეამკო ყოვლითავე სამკაულითა და მოი- გონა წიგნნი და დასხნა მას შინა, და შეწირნა სოფელნი, რომელნი დაშთომილ იყვნეს მამუ- ლისაგან თვისა (რაც კი დარჩენოდა დედათა მონასტრისა და სხვა ეკლესიების აშენების შემდეგ, — გ.ქ.)“ ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მამათა ეს მონასტერი გარეჯის უდაბნოს რომელიღაც მონასტერია, მაგრამ კონტექსტიდან გამომდინ- არე, როცა დავითგარეჯის მონასტრებზეა ხოლმე საუბარი, „ცხოვრების“ ყველა რედაქციაში ეს მინიშნებულა, ამ შემთხვევაში კი ამკარაა, რომ საქმე შეეხება მშობლიურ მამულში არსებულ მონასტერს. კიდევ უფრო განვიმტკიცებს ამ მოსაზრებას უცნობი ავტორის (IX ს.) მიერ შექმ- ნილი საგალობელი, რომელიც მანანა დოლაქიძის მტკიცებით, ილარიონის სახელზე შექმნილი ყველაზე ძველი ლიტერატურული ძეგლია. აი, მისი ტექსტი: „მოხუდ ქუეყანად თვისსა და აღაშენე ექუსნი მონასტერი დიდებულნი, სადიდებლნი სამებისა წმიდისანი და შეპკრიბე მას შინა კრებული ღირსთაი, რომელნი ან პატივცემენ შენ“... აქ ციფრი 6 ფიგურალური არ არის, თორემ ასე რომ ნდომებოდა, ავტორი 12-ს ან 9-ს იტყოდა; 6 კონკრეტული გამოხატულებაა. ეს საგალობელი რომ საქართველოშია შექმნილი, მგონი, სადავო არ უნდა იყოს, მაგრამ თუ კარგად დაუკვირდებით, აქ „ქუეყანაში“ სხვა ადგილია ნაგულისხმევი და გარეჯის უდაბნო, მგონი, არაფერ შუაშია. ილარი- ონის ცხოვრების მოკლე და უძველეს რედაქციაში (IX-X სს.) ნათქვამი „ილარიონი იყო ქუეყანი კახეთით“ და საგალობელში (IX ს.) ნათქვამი „მოხუდ ქუეყანასა თვისა“ კახეთის ერთსა და იმავე ადგილს გულისხმობს. მკითხველს უნდა შევასხურო, რომ IX საუკუნეში გარეჯის უდაბნოს ნახევარი კახეთის სამთავროში კი შედიოდა, მაგრამ იგი ისტორიული კუხეთისა და სუჯეთის პროვინციითა ნაწილი იყო (იხ. „საქართველოს ისტორიის რუკები“), ერთი სიტყვით, გარეჯის ქვეყანა ილარიონის მამული არ იყო. ამიტომ, ვფიქრობ, ექვსივე მონასტერი ილარიონის მშობლიურ მიკროქვეყანაშია საძიებელი. ასეც რომ არ იყოს და სათვალავში გარეჯში აშენებული ილარიონის ორი მონასტერიც (ე.წ. ილარიონის ფილიალი და გაფართოებულ-განახლებული „ფერისცვალება“) მივიღოთ, დედისთვის აგებული მონასტრის გარდა, კალაურ-ვაჩნაძისანი გარშემო ილარიონის მიერ აგებული სამი სხვადასხვა მონ- ასტერი მაინც გვრჩება მოსაძებნი. მათ შორის, რა თქმა უნდა, უმთავრესი 76-კაციანი მამათა მონასტერი და მისი დიდი ეკლესიაა.

ავტორის ფოტოები



კალაურის „სამყინაური“

1. მიწისქვეშეთის მდინარე ბერძნულ მითოლოგ.	2. სარტყელი მუსიკალ. ინსტრუმენტი	3. ანდრესენის ზღაპარი	4. კუბის დედაქალაქი	5. სამარხი ნაგებობა	6. თურქეთის საკურორტო ქალაქი
7. ყურძნის მკვარი ლენო	8. მთავის ქალას ფორმა, ე.წ. "იგრძელი თავი"	9. კუზინა ცხელი	10. ბარბადოს. მომღერალი	11. ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული	12. ციური სხეული
15. ამრეშუმის შინაასოვი ქსოვილი	16. ვინმეზე გაწეული უანგარო შრომა	21. ქმრის შმა	22. „საგვირგვინზე“ მცენარე	23. ხელის საგრილო-ბელი	24. ჩინეთის ფულის ერთეული
18. გველურებული შინაური ცხენი	20. მფრთხალი, შეუწყვეელი საქონელი	25. არაბული ფულიტა	26. პოლიეუდის მსახიობი	27. ქალაქი გერმანიაში	28. ბრაუტა წინამძღოლი
29. იპონელი ნობელიანტი მწერალი	30. თვალ-სამინო ადგილზე გამოკრული განცხადება კონცერტის შესახებ	31. ხალხში გამოყვანილი	32. ქვეყნის ნაწილი	33. მუსიკალ. მიმდინარეობა	34. აფრიკული მანგა
38. ტყავის ჭურჭელი ღვინისათვის	39. მდინარე შიდა ქართლში	42. სამხედრო ტიტული ოსმალთა იმპერიაში	43. პატარა ძალი, გოგია	44. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ...“	45. კურორტი რაჭაში
47. ქორწილის ერთ-ერთი მთავარი მინაწილე	52. ფრანგი პოეტი და დრამატურგი	56. ნაბიჯი კლასიკურ ცეკვაში	57. სქელის ნაწილების გაჭრება დეკორ. მიზნით	58. ტბა აფხაზეთში	59. იესო ქრისტეს დატოვების სცენა
61. წარმოება, სადაც ბჭ-დავენ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს	63. ინდოელი პოლიტიკოსი	64. მექსიკაში მცხოვრები ინდოელი ხალხი	65. ბაპამის კუნძულების დედაქალაქი	66. სტივენ სივალის ცნობილი კინოროლი	67. გულიერის სახელი
71. ამერიკული თოჯინა	72. ჭაობის მცენარე	76. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში	77. ისრის წერი	78. პლანეტა იუპიტერის ძველ ქართულში	79. იპონური თეატრის სახეობა
81. აზი-ვეროპის გამყოფი მთები	82. ესპანელი ფესბურთელი	83. ძველი ფრანგული სიგარის სახეობა ერთეული	84. ინდოელი მსახიობი აიშვარია ...	85. მთავარი საწოლი	86. დამცველი კურძინის მასა
87. ტყავის ჭურჭელი ღვინისათვის	88. მდინარე შიდა ქართლში	89. მფრთხალი, შეუწყვეელი საქონელი	90. კუბის დედაქალაქი	91. სამარხი ნაგებობა	92. თურქეთის საკურორტო ქალაქი
93. კუზინა ცხელი	94. ბარბადოს. მომღერალი	95. ქმრის შმა	96. „საგვირგვინზე“ მცენარე	97. ხელის საგრილო-ბელი	98. ჩინეთის ფულის ერთეული
99. გველურებული შინაური ცხენი	100. მფრთხალი, შეუწყვეელი საქონელი	101. არაბული ფულიტა	102. პოლიეუდის მსახიობი	103. ქალაქი გერმანიაში	104. ბრაუტა წინამძღოლი
105. იპონელი ნობელიანტი მწერალი	106. თვალ-სამინო ადგილზე გამოკრული განცხადება კონცერტის შესახებ	107. ხალხში გამოყვანილი	108. ქვეყნის ნაწილი	109. მუსიკალ. მიმდინარეობა	110. აფრიკული მანგა
111. ტყავის ჭურჭელი ღვინისათვის	112. მდინარე შიდა ქართლში	113. სამხედრო ტიტული ოსმალთა იმპერიაში	114. პატარა ძალი, გოგია	115. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ...“	116. კურორტი რაჭაში
117. ქორწილის ერთ-ერთი მთავარი მინაწილე	118. ფრანგი პოეტი და დრამატურგი	119. ნაბიჯი კლასიკურ ცეკვაში	120. სქელის ნაწილების გაჭრება დეკორ. მიზნით	121. ტბა აფხაზეთში	122. იესო ქრისტეს დატოვების სცენა
123. წარმოება, სადაც ბჭ-დავენ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს	124. ინდოელი პოლიტიკოსი	125. მექსიკაში მცხოვრები ინდოელი ხალხი	126. ბაპამის კუნძულების დედაქალაქი	127. სტივენ სივალის ცნობილი კინოროლი	128. გულიერის სახელი
129. ამერიკული თოჯინა	130. ჭაობის მცენარე	131. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში	132. ისრის წერი	133. პლანეტა იუპიტერის ძველ ქართულში	134. იპონური თეატრის სახეობა
135. აზი-ვეროპის გამყოფი მთები	136. ესპანელი ფესბურთელი	137. ძველი ფრანგული სიგარის სახეობა ერთეული	138. ინდოელი მსახიობი აიშვარია ...	139. მთავარი საწოლი	140. დამცველი კურძინის მასა
141. მიწისქვეშეთის მდინარე ბერძნულ მითოლოგ.	142. სარტყელი მუსიკალ. ინსტრუმენტი	143. ანდრესენის ზღაპარი	144. კუბის დედაქალაქი	145. სამარხი ნაგებობა	146. თურქეთის საკურორტო ქალაქი
147. ყურძნის მკვარი ლენო	148. მთავის ქალას ფორმა, ე.წ. "იგრძელი თავი"	149. კუზინა ცხელი	150. ბარბადოს. მომღერალი	151. ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული	152. ციური სხეული
153. ამრეშუმის შინაასოვი ქსოვილი	154. ვინმეზე გაწეული უანგარო შრომა	155. ქმრის შმა	156. „საგვირგვინზე“ მცენარე	157. ხელის საგრილო-ბელი	158. ჩინეთის ფულის ერთეული
159. გველურებული შინაური ცხენი	160. მფრთხალი, შეუწყვეელი საქონელი	161. არაბული ფულიტა	162. პოლიეუდის მსახიობი	163. ქალაქი გერმანიაში	164. ბრაუტა წინამძღოლი
165. იპონელი ნობელიანტი მწერალი	166. თვალ-სამინო ადგილზე გამოკრული განცხადება კონცერტის შესახებ	167. ხალხში გამოყვანილი	168. ქვეყნის ნაწილი	169. მუსიკალ. მიმდინარეობა	170. აფრიკული მანგა
169. ტყავის ჭურჭელი ღვინისათვის	170. მდინარე შიდა ქართლში	171. სამხედრო ტიტული ოსმალთა იმპერიაში	172. პატარა ძალი, გოგია	173. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ...“	174. კურორტი რაჭაში
175. ქორწილის ერთ-ერთი მთავარი მინაწილე	176. ფრანგი პოეტი და დრამატურგი	177. ნაბიჯი კლასიკურ ცეკვაში	178. სქელის ნაწილების გაჭრება დეკორ. მიზნით	179. ტბა აფხაზეთში	180. იესო ქრისტეს დატოვების სცენა
181. წარმოება, სადაც ბჭ-დავენ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს	182. ინდოელი პოლიტიკოსი	183. მექსიკაში მცხოვრები ინდოელი ხალხი	184. ბაპამის კუნძულების დედაქალაქი	185. სტივენ სივალის ცნობილი კინოროლი	186. გულიერის სახელი
185. ამერიკული თოჯინა	186. ჭაობის მცენარე	187. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში	188. ისრის წერი	189. პლანეტა იუპიტერის ძველ ქართულში	190. იპონური თეატრის სახეობა
191. აზი-ვეროპის გამყოფი მთები	192. ესპანელი ფესბურთელი	193. ძველი ფრანგული სიგარის სახეობა ერთეული	194. ინდოელი მსახიობი აიშვარია ...	195. მთავარი საწოლი	196. დამცველი კურძინის მასა



სადგური ელექტრო-მობილუბისთვის

სან-ფრანცისკოში ავტოგასამართი სადგური გაიხსნა, რომელიც მზის ენერჯიაზე მომუშავე მანქანებს კვების წყაროთი უზრუნველყოფს. მთელ ქალაქში მსგავს სადგურებს ორგანიზაცია Charge Across Town აშენებს, მანქანის მფლობელებს კი საშუალება ექნებათ, სატრანსპორტო საშუალებები იქ დამუხტონ. ავტოგასამართ სადგურებს არანაირი კავშირი არ აქვს ადგილობრივ კომუნალურ სისტემასთან, რადგან ენერჯიის წყარო დამონტაჟებული მზის პანელებია, თითოეული მათგანი კი 3,3 კილოვატ ენერჯიას გამოიმუშავებს და ლითიუმის ელემენტების სპეციალური პაკეტითაა აღჭურვილი, რომელიც 22,5 კვტ.სთ ენერჯიას ინახავს. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ერთ დღეში გამოიმუშავებული ენერჯიით დაახლოებით 100 ელექტრომობილი იმუხტება, მსგავსი სადგურების გამართვა კი, დაახლოებით, 45 ათასი დოლარი ჯდება.



ადვილი

		4	3	2			7
					6	1	5
					9	6	
2						3	6
	6						2
	3	1					9
		6	9				
8	1	3	7				
5				3	2	4	



სტანდარტი

	6		5				3
		5		1	9		8
	1				7		
		7	3			5	
	9						1
		2			6	4	
			9				8
5			4	6		2	
	7			1		4	



რთული

			4				1
	9	8			7	6	
		3			5		
4		2	7				
	5			8			3
					9	8	2
			9			5	
	1	6				3	2
6				2			



ექსპერტი

6		3	2				
	2	1					
8				7	3		4
	8						3
	1		9		8		7
		2					6
	7		4	9			1
						9	2
					1	7	6

თხას ხაცვა ასწავდეს

აშშ-ს ქალაქ ალბუერკის ზოოპარკში, ერთ-ერთმა თანამშრომელმა თხას, სახელად ბოდის ხაცვა ასწავლა და როგორც ამბობენ, ცხოველის ყოველი „ნამუშევარი“ 40 დოლარად იყიდება. კრისტინ რაითი თხას უკვე რამდენიმე თვეა ავარჯიშებს — ირჩევს საღებავის ფერს, მერე ცხოველს ფუნჯს უდებს პიროში და ისიც „ხატავს“. გვინდა, ჩვენი ზოოპარკის აღსაზრდელები არა მხოლოდ ჭამდნენ და სუკედებოდნენ, არამედ მათ ტვინს ვაიძულებთ, იმუშაოს და ცხოველებიც უფრო ბედნიერები არიან, — აცხადებს რაითი.



ვეგანური დიეტა ონკოდაავადებებისგან გვირავს



უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ყველასთვის ცნობილი გახდა, რომ ადამიანები, ვინც ვეგეტარიანულ დიეტას იცავს, ნაკლებად ავადდებიან სიმსივნური დაავადებებით. ბოლო გამოკვლევებმა კი დაადასტურა, რომ ონკოლოგიური დაავადებების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ვეგანებს აქვთ — ვეგანური დიეტის მიმდევრებში, ავთვისებიანი სიმსივნური უჯრედების წარმოქმნის ალბათობა ძალიან მცირეა. საქმე ის არის, რომ მსგავსი დიეტის გავლენით, დაახლოებით 500 გენი ისე იცვლება, რომ მავნე გენები, რომლებიც სხვადასხვა დაავადებაზე პასუხისმგებელი, „გამორთვება“, სასარგებლოები კი (მაგალითად, იმუნიტეტზე პასუხისმგებელი), პირიქით, აქტიურდება. შეგახსენებთ, ვეგანობა — ცხოვრების მკაცრად ვეგეტარიანული წესია. ვეგანები გამოირიცხავენ იმ პროდუქტის მოხმარებას, რაც ცხოველებისა და ფრინველების ექსპლოატაციითა და მკვლელობით მიიღება. ვეგანები, არ ჭამენ არ თევზს, კვერცხს, რძის პროდუქტსა და ზოგჯერ თაფლსაც კი.



დეღფინი ემოციებისგან წითლდება

ამომავალი მზის ქვეყანაში ალბინოსი-დეღფინი, რომელიც ტაიძის ვეშაპების მუზეუმში ბინადრობს, ნამდვილ ვარსკვლავად იქცა და აღფრთოვანებული მნახველების უზარმაზარ ნაკადს იზიდავს. დეღფინი სრულიად თეთრია და მუზეუმის თანამშრომელთა განცხადებით, მაშინ ვარდისფერდება, როცა ბრაზობს, მოწყენილია ან მორცხვობს. ალბინოსს ძალიან თხელი კანი აქვს და „ფერის შეცვლას“ სისხლძარღვები იწვევს. ასე რომ, დეღფინი ისევე წითლდება, როგორც ადამიანები. მუზეუმში დეღფინი დაკვირვების ქვეშაა და ზღვაში მის გაშვებას ერიდებიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ადვილად იქცევა მტაცებლების მსხვერპლად.

სიგარეტის ნამწვისთვის აპენინებზე დააჯარიმებენ

„სტაბილურობის შესახებ კანონის“ ახალი შესწორება იტალიელ სამართალდამცველებს ავალდებულებს, დააჯარიმონ ის ადამიანები, ვინც სიგარეტის ნამწვს ქუჩაში გადაადგებს. შესწორება, რომელიც ქალაქის ქუჩების დანაგვიანებისთვის ჯარიმას ითვალისწინებს, უკვე მზად არის და სენატის რატიფიკაციას ელის. მისი ამოქმედებისთანავე კი იტალიელებს, ვინც მიჩვეულია ნამწვის მინაზე ან წყალსატევში გადადგებას, მოუწევთ 30-დან 150 ევრომდე ჯარიმის გადახდა. ცნობილია, რომ ამ გზით მიღებული შემოსავლების ნახევარი სპეციალურ ფონდში გადაირიცხება, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტრომ შექმნა. იტალიელი ეკოლოგების გათვლით, ყოველწლიურად აპენინებზე გარემო სიგარეტის 72 მილიარდი ნამწვით ბინძურდება.



წინა ნომარში გასული სკანდორღისა და სუდოქს პასუხები

ადვილი	სტანდარტი
რთული	ექსპერტი

მე-12 გვერდი: 1. აბაზანა; 2. ბერნი; 3. ზიზია; 4. ნანტი; 5. გლისერი; 6. ლემური; 7. სურავანდი; 8. რუთი; 9. კრაზანა; 10. ნანსუკი; 11. რეალი; 12. პლატინა; 13. იმერეთი; 14. აბუ; 15. ზაგალო; 16. ბილიკი; 17. ზვარი; 18. ქონდაქარი; 19. დოლარი; 20. პირანია; 21. კესანე; 22. ტიბაანი; 23. გნუ; 24. სოული; 25. ლოს; 26. შოუ; 27. „ფერარი“; 28. ლურო; 29. სე; 30. ეტი; 31. დალი; 32. დრიფტი; 33. ლიცეუმი; 34. სექტა; 35. აკა; 36. 37. არვე; 38. ამინ; 39. ლატი; 40. ომი; 41. არგო; 42. ორი; 43. ასლი; 44. უფა; 45. შოშია; 46. ამირა; 47. ოლე; 48. არია; 49. პრევენცია; 50. უშუ; 51. ირი; 52. ურა; 53. პარეო; 54. ზეგ; 55. ბოცა; 56. ტუფი; 57. კაა; 58. ალემბა; 59. გორდა; 60. ფრი; 61. იზვი; 62. გეი; 63. იაზო.

სასარგებლო ანტიბიოტიკებს შექმნიან

კომპანია IBM-ის მეცნიერები ახალი თაობის ანტიბიოტიკების შექმნაზე მუშაობენ, რომელთაც გვერდითი ეფექტი არ ექნება და პაციენტს მაქსიმალურ სარგებელს მოუტანს. კომპანია ნანოტექნოლოგებზეა სპეციალიზებული და ანტიბიოტიკების ნანოსტრუქტურის მუშაობაზე იქნება დაფუძნებული, რომელიც ადამიანის სხეულში დაავადებულ უჯრედებს მიიზიდავს და შესაბამისად, პრეპარატი მთლიან ორგანიზმს არ დაზიანებს. ნანოსტრუქტურების მოთავსებას სწავლულები ჩვეულებრივ ანტიბიოტიკებში აპირებენ, რათა დაავადებული უჯრედები მოქებონ და ამ გზით დაარეგულირონ მკურნალობა. ასეთი პროექტები, მეცნიერთა მოსაზრებით, ძალიან სასარგებლოა, რადგან მათი გამოყენება შეიძლება არა მხოლოდ ანტიბიოტიკებში, არამედ სხვა საშუალებებში.



დაცვის პოლიციის დაპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სსიპ დაცვის პოლიციის დაპარტამენტი აცხადებს
18-დან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას
საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდებების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის

მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა, თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ, მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:

- ვადა:** 12 თვე
- გრაფიკი:** სამ დღეში ერთხელ 24-საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
- ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
- ყოველთვიური ანაზღაურება:** 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:

- 1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.
 - 2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალადგანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;
 - 3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;
- წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.
- დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).



ინდოელ ეთნოგრაფიკული მემკვიდრეობის საქონლის უსყვლიან

ინდოეთის ქალაქ ინდურში წქესად იქცა ჩვილი გოგონებისთვის სქესის შეცვლა — ქალაქში ყოველწლიურად ასობით ასეთი შემთხვევა ფიქსირდება. ცნობილია, რომ ინდოეთში გოგონა მშობლებმა დიდი თანხა უნდა გადაიხადონ მის გათხოვებაში, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში კი ის ოჯახებია, სადაც რამდენიმე გოგონა იზრდება. სწორედ ამიტომ მშობლები მზად არიან, უკიდურეს ზომებს მიმართონ, ოღონდ კი მომავალში დიდი თანხის გადახდა არ მოუწიოთ — 1-დან 5 წლამდე ბავშვებს ინდურის ცნობილ კლინიკებში უტარებენ ოპერაციას და არც გენოტოპლასტიკა ჯდება ძვირი — 150 000 რუპია (დაახლოებით, 3 ათასი დოლარი). ოპერაციის შემდეგ ბავშვებს ჰორმონალურ მკურნალობას უნიშნავენ და მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები მომავალში უნაყოფოები იქნებიან, ეს ფაქტორი მშობლებისთვის ნაკლებმნიშვნელოვანია.

მინაური ცხოველების ჯიშის სასარგებლოდ

არიზონას უნივერსიტეტის სწავლულნი მივიდნენ დასკვნამდე, რომ მინაური ცხოველების, მაგალითად, ძაღლების კოცნა ადამიანის ჯანმრთელობაზე დადებითად მოქმედებს აღმოჩნდა, რომ მინაური ცხოველებისგან ადამიანზე შეიძლება გადავიდეს სასარგებლო ბაქტერიები — პრობიოტიკები,



რომელიც აუმჯობესებს იმუნიტეტს და არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას. გამოკვლევაში 500-მდე მოხალისე მონაწილეობდა, რომლებიც ნახევარი წლის განმავლობაში ოთხჯერა მეგობრებთან ერთად ცხოვრობდნენ. ახლა სწავლულნი იმის გარკვევას აპირებენ, როგორ მოქმედებს ცხოველებთან ურთიერთობა ხანდაზმულ, 80 წელს გადაცილებულ ადამიანებზე მაშინ, როცა მინაური ძაღლის გარემოცვაში ბავშვს ნაკლებად უვითარდება ალერგია და ასთმა.

ყავა მკერდის კიბოსგან იცავს

შვედური უნივერსიტეტის სწავლულნი დასკვნით, ყავა აქვეითებს სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების რისკს. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ყავა აჩერებს იმ ქალებში სიმსივნის შესაძლო განვითარებას, რომელთაც მკერდის კიბოს მკურნალობის კურსი გაიარეს. ეს გამამხნეველები სასმელი ხელს უშლის დაავადების ახალი კერის წარმოშობას და ამცირებს მეტასტაზების წარმოქმნის ალბათობას იმ პაციენტებში, რომელთაც ამ საშინელი დაავადების დიაგნოზი დაუსვეს. ლაბორატორიულმა კვლევებმა ცხადყო, რომ კოფეინი, რომელსაც ყავა შეიცავს, გამანეიტრალებელ ზემოქმედებას ახდენს სიმსივნურ უჯრედებზე და რემისიამდე მიყვავართ. კვლევებისას აღმოჩნდა, რომ ის მანდილოსნები, ვინც დღეში ორ ფინჯან ყავას მაინც მიირთმევდა, სენისგან უფრო სწრაფად იკურნებოდა და არ აღენიშნებოდა რეციდივები.



ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უპაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მმართველი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი — ნინო ებანოიძე
დიზაინერი — გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.